„ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების“
ფორმა №1

განაცხადი

სამეცნიერო ხელმძღვანელობისა და სადოქტორო კვლევითი პროექტის შესახებ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა: **ფილოლოგია (ფოლკლორი)**

1. ინფორმაცია სამეცნიერო ხელმძღვანელის შესახებ

1.1. სახელი და გვარი: **ნაილე მიქელაძე**

1.2. აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობა ან ემერიტუსის წოდება: ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

1.3. ბოლო სამი წლის განმავლობაში შესაბამისი (სადოქტორო ნაშრომის ზოგადი თემატიკის) დარგის/მიმართულების Web of Science (Clarivate Analytics), Scopus და ERIH PLUS (European Reference Index of the Humanities) (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) ბაზებში ინდექსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი:

	სამეცნიერო ნაშრომის დასახელება	წელი	ჟურნალი, ტომი, გვერდი, ელ. მისამართი	დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	სამეცნიერო ბაზის დასახელება	თანაავტორი	შენიშვნა
1.	ფრინველის (ოქროს მამლის) კულტი ჰერეთის ფოლკორში	2024-12-21	ჟურნალი: ფილოლოგიური კვლევები IX ტომი; გვ. 60-68; ბმული: http://www.sciencejournals.ge/index.php/NJ/article/view/609	E-ISSN: 2667-9612	ERIH PLUS	მარიამ პაპიაშვილი	
2.	ეგვიპტური სახე-სიმბოლოები ქართულ მწერლობასა და ხელოვნებაში	2025	ჟურნალი: შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე ტომი: III; გვ. 522-534 ბმული: https://nbi.openjournals.ge/index.php/nbi/article/view/10390	E-ISSN 2960-9267	ERIH PLUS	ჯემალ მიქელაძე	
3.	აჭარა ივანე გომართელის პუბლიცისტურ წერილებში (სტამბოლის სავანის მასალების მიხედვით)	2025	ჟურნალი: ქართველური მემკვიდრეობა ტომი: XXIX; გვ: 99-117 ბმული: https://journals.atsu.edu.ge/index.php/Kartvelology/article/view/268	E-ISSN: 2960-9186	ERIH PLUS	თამილა ჩურკვეიძე, ინგა ხერგიანი	

4.	ტოპონიმ ,,გულების“ გენეზისისათვის	2023	ჟურნალი: ,,კულტურათაშორისი დიალოგები“; ტომი: 7; გვ. 243-247 ბმული: https://tesau.edu.ge/files/1/2023.%20%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A2.%20%E1%83%93%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%20VII.pdf	E-ISSN 2667-999X	-		
5.	Some Issues of National Mentality and Memory in Tao-Klarjeti	June 8 th-9th, 2023,	Proceedings of an International Conference “HERiPRENEURSHIP - Sustainable Tourism, Heritage Management and the Cultural and Creative Industries: Creating New Investment Opportunities at Places of Cultural Significance; Volume: I; pp. 364-369 Link: https://biblioteca-digitala.ro/reviste/carte/icem/bipp/11_BIPP_Heripreneurship_2023.pdf	ISBN 978-606-020-654-5	-		
6.	Toponyms Related to Christianity in Upper Ajara	September 20-21, 2021	The proceedings of The International Scientific Symposium ”The Religion and The Law”; pp. 83-90.	ISSN 1843-9489	-		
7.	,ხის კულტი ჰერეთის მკვიდრთა ცნობიერებაში (ახალი ფოლკლორული მასალების მიხედვით)	2023	ჟურნალი: ქართველური მემკვიდრეობა ტომი: XXVII; გვ: ბმული: https://ejournals.atsu.ge/Kartvelology/index.php?dir=issues&page=Issue&issueID=27&lng=Ge	E-ISSN: 2960-9186	ERIH PLUS	მარიამ პაპიაშვილი	

1.4. ბოლო ათი წლის განმავლობაში სამეცნიერო საგრანტო პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით მონაწილეობა:

	სამეცნიერო პროექტის სახელწოდება	პროექტის დაწყებისა და დასრულების თარიღი	სტატუსი პროექტში	დამფინანსებელი ორგანიზაცია	ელექტრონული მისამართი	პროექტში ჩართული პირები	შენიშვნა
1	eTwinning	2023-2026	მონაწილე	ევროპული სამეცნიერო-საგანმანათლებლო პლატფორმა	https://school-education.ec.europa.eu/	ინგა ხერგიანი	
2	,,არტ თუშეთი“	20-25 აგვისტო, 2020	დამხმარე პერსონალი	ასოციაცია ,,არტ კავკასია“, სამხრეთ კავკასიის რეგიონის ვიზუალური ხელოვნებისა და არტ ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი რეგიონალური ასოციაცია		პროექტის ხელმძღვანელი: ნანა ყირმელაშვილი-	
3	,,ზემო აჭარა ფრთხილად კარები იკეტება“ (ხიხაძირის ხეობა, გოდერძის უღელტეხილის მიდამოები, გომის მთა)	15-20 აგვისტო, 2019	ძირიადი შემსრულებელი	ასოციაცია ,,არტ კავკასია“, სამხრეთ კავკასიის რეგიონის ვიზუალური ხელოვნებისა და არტ ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი რეგიონალური ასოციაცია		პროექტის ხელმძღვანელი: ნანა ყირმელაშვილი-	

1.5. სამეცნიერო ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის გამოცდილება

	უსდ-ს დასახელება	სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სტუდენტის სახელი და გვარი	ნაშრომის სახელწოდება	წელი	შენიშვნა

1.6. რელევანტური ტრენინგი, სემინარი, პროფესიული განვითარების კურსი და სხვა.

	ღონისძიების ტიპი	ღონისძიების დასახელება	ორგანიზატორი	ჩატარების თარიღი	ჩატარების ადგილი	შენიშვნა
1	საჯარო ლექცია	,,ტოპონიმური თქმულება - გადმოცემები ზემო აჭარაში''.	აჭარის მწერალთა სახლი	2024 წლის 27 მაისს,	ბათუმი	
2	სემინარი	,,წმიდა გიორგის სასწაულებთან დაკავშირებული გადმოცემები აჭარაში“.	ბსუ-ს იკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი	2024 წლის 16 ოქტომბერს,	ბათუმი	
3	სემინარი	,,სახელოვნებო ფოლკლორის ზოგიერთი საკითხის გააზრებისათვის ზემო აჭარის ფოლკლორში“	ბსუ-ს იკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი	2025 წლის 20 ოქტომბერს,	ბათუმი	
4	პროფესიული კურსი/ტრენინგი	საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში..	აჭარის განათლების ფონდი	9-10 მარტი, 2019წ.	საქართველო, ბათუმი.	
5	პროფესიული კურსი/ტრენინგი	ბსუ -ი, ,,moodli''-ისა და ,,Turitum''-ის (პლაგიატის აღმომჩენი პროგრამების გამოყენება) აკადემიური წერის საფუძვლების სწავლებაში.	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	21-22 სექტემბერი, 2018წ.	საქართველო, ბათუმი.	
6	პროფესიული კურსი/ტრენინგი	სამუზეუმო ექსპონატების გამოყენება სწალა-სწავლების პროცესში.	აჭარის განათლების ფონდი	20.08.2018	საქართველო, ბათუმი.	
7	პროფესიული კურსი/ტრენინგი	სწავლა სწავლების პრობლემის ზოგიერთი საკითხის გააზრებისთვის.	საქართველოს პროფესიული განათლების ცენტრი ,,განათლების ფორუმი“ შავი ზღვის უნივერსიტეტი.	30.09.2018წ.	საქართველო, თბილისი	
8	პროფესიული კურსი/ტრენინგი	,,ზრდასულთა სწავლებისა და სწავლის ეფექტური მიდგომები“- (ტერენერების ტრენინგი).	საქართველოს პროფესიული განათლების ცენტრი ,,განათლების ფორუმი“ შავი ზღვის უნივერსიტეტი	(#03-143), 02. 03. 2015 წ.	საქართველო, თბილისი	

1.7. ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან სამეცნიერო თანამშრომლობის გამოცდილება (ერთობლივი კვლევები/გრანტები/სამეცნიერო პროექტები):

საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან სამეცნიერო თანამშრომლობის გამოცდილების მიმართულებით ვმონაწილეობ საერთაშორისო სამეცნიერო პროექტში - „ახალი კვლევები ანთიმოზ ივერიელის სიცოცხლისა და მოღვაწეობის შესახებ“, რომელსაც ახორციელებს რუმინეთის კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტი და ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი.

2. სადოქტორო კვლევითი პროექტის მოკლე აღწერილობა

სადქტორო თემის სათაური: ,,ქრისტიანობასთან დაკავშირებული ტოპონიმური თქმულება-გადმოცემები აჭარასა და სვანეთში” (ნარატიული სტრუქტურები და რელიგიური ტრანსფორმაციები)

პროექტის მიზანია აჭარისა და სვანეთის რეგიონებში გავრცელებული ქრისტიანობასთან დაკავშირებული ზეპირსიტყვიერი ტრადიციების, თქმულებებისა და გადმოცემების შეგროვება, სისტემატიზაცია და მეცნიერული ანალიზი. კვლევა მიმოიხილავს თუ როგორ აისახა ქრისტიანობის გავრცელება და მისი შემდგომი განვითარება ადგილობრივ კულტურასთან, ასევე, თუ როგორ გარდაიქმნა ბიბლიური და საეკლესიო მოტივები ადგილობრივი ცნობიერებისა და ისტორიული გამოცდილების ნაწილად. პროექტის ფარგლებში განხორციელდება საველე კვლევა აჭარისა და სვანეთის სოფლებში, სადაც მოხდება ადგილობრივი მოსახლეობისგან ზეპირი მასალის ჩაწერა. შეგროვებული მასალა გაივლის თემატურ, სტრუქტურულ და შედარებით ანალიზს, რათა გამოვლინდეს საერთო და განმასხვავებელი ნიშნები ორ რეგიონს შორის. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა წმინდანებთან, ეკლესიებთან, სასწაულებთან და რელიგიურ რიტუალებთან დაკავშირებულ თქმულებებს. კვლევის მეცნიერული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი ხელს შეუწყობს ქართული ფოლკლორისა და რელიგიური კულტურის ღრმა გაგებას, რეგიონული იდენტობების თავისებურებების წარმოჩენასა და ქრისტიანული მემკვიდრეობის ინტერპრეტაციის ახალ ხედვებს. პრაქტიკული მნიშვნელობა კი გამოიხატება არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და პოპულარიზაციაში.

3.1. კვლევითი პროექტის დასახელება
,,ქრისტიანობასთან დაკავშირებული ტოპონიმური თქმულება-გადმოცემები აჭარასა და სვანეთში” (ნარატიული სტრუქტურები და რელიგიური ტრანსფორმაციები)

3.2. კვლევის სიახლე და აქტუალურობა

ამ თემასთან დაკავშირებული კვლევა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც კვლევა ეხება რელიგიურ-კულტურული მრავალფეროვნების შესწავლას

აჭარა გამოირჩევა ქრისტიანობისა და ისლამის თანაარსებობით, რაც ქმნის ერთგვარ უნიკალურ კულტურულ სინთეზს და ზეპირი გადმოცემების განსაკუთრებულ ფორმებს. ასეთ გარემოში ქრისტიანული თქმულებები ხშირად გადაჯაჭვულია ადგილობრივ ტრადიციებთან და სხვა რელიგიურ ელემენტებთან, რაც საჭიროებს სათანადო მეცნიერულ კვლევას (წმინდა ადგილების მონახულება - ,,ზიარეთობა”; შესაწირის მიტანა წმინდა ადგილებთან, წმინდანთა ქმედებისა და საქმეების სხვადასხვა რელიგიათა ჭრილში განხილვა; და სხვ.

ქრისტიანობის ისტორიული ფესვების გააზრება - ტრადიციის მიხედვით, ქრისტიანობა საქართველოში, მათ შორის აჭარაში, მოციქულთა ეპოქიდან ვრცელდება (ანდრია პირველწოდებული და სხვ.). სვანეთში კი ქრისტიანული კულტურა შუა საუკუნეებში (წყაროთა მიხედვით) სრულად ჩამოყალიბებული და მაღალი განვითარების დონეზეა წარმოდგენილი. ეს და სხვა რიგი საკითხები ქმნის საფუძველს, რომ თქმულებები განვიხილოთ როგორც ისტორიული მეხსიერების მატარებელი (აჭარაში დაცული ტოპონიმები ,,თარანგელო, ხუციქედი, ამაღლება, გობრონეტი, წმინდისერი, ნაბოლო კვართი//კვართი ბოლო, საჯვარებო, ბეთლემი და სხვ.).

ზეპირი ფოლკლორის გაქრობის საფრთხე - თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ადგილობრივი ლეგენდები და თქმულებები ნელ-ნელა ქრება ან ტრანსფორმირდება. შესაბამისად, მათი შესწავლა და გაანალიზება მნიშვნელოვანია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესანარჩუნებლადადაც.

იდენტობის კვლევის მნიშვნელობ - ქრისტიანობასთან დაკავშირებული თქმულებები მნიშვნელოვან როლს

თამაშობს ადგილობრივი (აჭარული და სვანური) იდენტობის ფორმირებაში. განსაკუთრებით აჭარაში, სადაც რელიგიური ტრანსფორმაციები (ისლამიზაცია და შემდგომი პროცესები) ისტორიულად მნიშვნელოვანი იყო.

კვლევის სიახლე

რეგიონთაშორისი შედარებითი ანალიზი _-აჭარისა და სვანეთის ერთობლივი შესწავლა ერთ კვლევაში იშვიათია. ეს საშუალებას იძლევა გამოვლინდეს: საერთო ქრისტიანული მოტივები, ლოკალური თავისებურებები და რელიგიური ტრანსფორმაციის გავლენა თქმულებებზე.

ინტერდისციპლინური მიდგომა - კვლევა აერთიანებს: ფოლკლორს, ისტორიოგრაფიას, რელიგიათმცოდნეობას, ანთროპოლოგიას. ასეთი სინთეზური მიდგომა ზრდის კვლევის მეცნიერულ ღირებულებასაც. ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზეპირი მასალის მოპოვება, თუ კვლევა ეფუძნება საველე მუშაობას (ინტერვიუები, ადგილობრივი გადმოცემების ჩაწერა), ეს წარმოადგენს ახალ პირველწყაროს.

ქრისტიანული თქმულებების ფუნქციური ანალიზი - არა მხოლოდ აღწერა, არამედ გაანალიზება: რა ფუნქცია აქვს თქმულებებს (სარწმუნოებრივი, ეთიკური, სოციალური); როგორ მოქმედებს ისინი თანამედროვე საზოგადოებაზე.

რელიგიური სინკრეტიზმის გამოვლენა - განსაკუთრებით აჭარაში შესაძლებელია გამოვლინდეს: ა) ქრისტიანული და ისლამური ელემენტების შერწყმა ბ) ძველი წარმართული რწმენების კვალი.

კვლევის აქტუალურობა განპირობებულია აჭარისა და სვანეთის რელიგიურ-კულტურული თავისებურებების, ქრისტიანობის ისტორიული ფესვების და ზეპირი ფოლკლორის შენარჩუნების აუცილებლობით, მაშინ როდესაც თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ტრადიციული თქმულებები დაკარგვის საფრთხის წინაშე დგას. კვლევის სიახლე მდგომარეობს აჭარისა და სვანეთის ქრისტიანულ თქმულებათა შედარებით ანალიზში, ინტერდისციპლინური მეთოდოლოგიის გამოყენებაში, ზეპირი მასალის პირველად შეგროვებასა და რელიგიური სინკრეტიზმის გამოვლენაში.

3.3. *კვლევის მიზნები, ამოცანები და კვლევის მეთოდოლოგია*

კვლევა ,,ქრისტიანობასთან დაკავშირებული ტოპონიმური თქმულება-გადმოცემები აჭარასა და სვანეთში" (ნარატიული სტრუქტურები და რელიგიური ტრანსფორმაციები), მიზნად ისახავს ამ ორი რეგიონული ფოლკლორული კორპუსის შედარებით ანალიზს, რათა გამოვლინდეს რელიგიური კონტექსტის გავლენა ნარატიულ ფორმებზე და თემატურ გარდაქმნებზე. აჭარისა და სვანეთის თქმულებები, მიუხედავად მათი მდიდარი ფოლკლორული ტრადიციებისა, ხშირად ფრაგმენტულად არის შესწავლილი, რის შედეგადაც აკადემიური საზოგადოების ყურადღება ძირითადად მასალების ჩაწერასა და ზოგადი აღწერილობისკენ არის მიმართული, ხოლო ნარატიული სტრუქტურების დეტალური ანალიზი და რელიგიური ტრანსფორმაციების დეტექცია ნაკლებადაა წარმოდგენილი. ამ კვლევით შემოთავაზებული მიდგომა აერთიანებს სტრუქტურალურ ნარატიულ ანალიზს და რელიგიური ელემენტების დისკურსულ კონტექსტში შესწავლას, რაც საშუალებას მისცემს არა მხოლოდ იდენტიფიცირდეს ცვლილებები ძველ და თანამედროვე თქმულებებს შორის, არამედ შეფასდეს, როგორ ინტეგრირდება ქრისტიანული სიმბოლიკა ადგილობრივ ფოლკლორში.

კვლევა მიზნად ისახავს შემდეგი საკვანძო კითხვების პასუხს: 1. როგორ აისახება ქრისტიანული რელიგიური ელემენტები აჭარისა და სვანეთის თქმულებებში? 2. როგორ განსხვავდება ნარატიული სტრუქტურები რეგიონებს შორის, და რა როლს თამაშობს რელიგიური კონტექსტი ამ განსხვავებებში? 3. რა მიმართულებით შეიძლება წარიმართოს ფოლკლორული კვლევები, როდესაც ინტეგრირებულია ნარატიული ანალიზი რელიგიურ ტრანსფორმაციებთან? ამგვარი მიდგომა შეავსებს არსებულ კვლევით "ნაპოვნ ვაკუუმს" და ხელს შეუწყობს სისტემატიზებულ ცოდნას ქართული მთიანი რეგიონების ფოლკლორზე, რაც დამატებით მნიშვნელობას სძენს რეგიონის კულტურულ და რელიგიურ ისტორიულ მემკვიდრეობას.

რაც შეეხება თეორიულ საფუძველს: ა)ფოლკლორის დეფინიციები და ფუნქციები ბ)ზეპირი ტრადიციის როლი კულტურულ მეხსიერებაში გ)თქმულების ჟანრული თავისებურებები და სხვ. (რელიგიური ნარატივები და ქრისტიანული ფოლკლორი; ქრისტიანობასთან დაკავშირებული ტოპონიმური თქმულებების სპეციფიკა; წმინდანთა კულტთან დაკავშირებული ზეპირი ტრადიციები; ბიბლიური მოტივების ტრანსფორმაცია ხალხურ თქმულებებში და სხვ.). დ) რელიგიური ანთროპოლოგია; ქრისტიანული მითოლოგიის ინტერპრეტაციები ისტორიულ-კულტურული კონტექსტი (აჭარა და სვანეთი) 1. აჭარის რელიგიური ისტორია (ისლამიზაცია, სინკრეტიზმი); 2. სვანეთის ქრისტიანული ტრადიციის მდგრადობა, რეგიონული იდენტობის ფორმირება; 3. კოლექტიური მეხსიერება და იდენტობა_ თქმულებები როგორც მეხსიერების მატარებელი (კულტურული იდენტობის კონსტრუქცია, ლოკალური ნარატივები და თვითიდენტიფიკაცია); 4. თანამედროვე ტრანსფორმაციები(გლობალიზაციის გავლენა ზეპირ ტრადიციაზე, თქმულებების მოდიფიკაცია თანამედროვე საზოგადოებაში, მედიის გავლენა ფოლკლორზე და სხვ.).

კვლევის მიზანია აჭარასა და სვანეთში გავრცელებული ქრისტიანობასთან დაკავშირებული ტოპონიმური თქმულება-გადმოცემების კომპლექსური შესწავლა, მათი სტრუქტურული, შინაარსობრივი და ფუნქციური ანალიზი, აგრეთვე რეგიონთაშორისი მსგავსებებისა და განსხვავებების გამოვლენა ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში.

კვლევის ამოცანები: კვლევის მიზნის მისაღწევად განისაზღვრება შემდეგი ამოცანები: 1. აჭარასა და სვანეთში ქრისტიანობასთან დაკავშირებული ზეპირი თქმულებების მოძიება, შეგროვება და სისტემატიზაცია 2. თქმულებებში ასახული ძირითადი ქრისტიანული მოტივებისა და სიუჟეტური სტრუქტურების იდენტიფიცირება 3. თქმულებების ისტორიულ წყაროებთან და საეკლესიო ტრადიციებთან (მაგ., ანდრია პირველწოდებულისთან დაკავშირებული

ნარატივები) შედარება 4. აჭარასა და სვანეთი-ში გავრცელებული თქმულებების შედარებითი ანალიზი (მსგავსება/განსხვავებები) 5. რელიგიური ტრანსფორმაციების (მაგ., ისლამიზაციის პროცესის აჭარაში) გავლენის შესწავლა თქმულებების ფორმასა და შინაარსზე 6. თქმულებების ფუნქციური როლის განსაზღვრა (რელიგიური, სოციალური, იდენტობის ფორმირების) 7. საველე მასალის საფუძველზე თანამედროვე ტრანსფორმაციების გამოვლენა ზეპირ ტრადიციაში.

კვლევა ეფუძნება შემდეგ ძირითად ჰიპოთეზებს:

1. აჭარასა და სვანეთში გავრცელებულ ქრისტიანულ თქმულებებს გააჩნია საერთო არქეტიპული საფუძვლები, თუმცა მნიშვნელოვნად განსხვავდება ლოკალური ისტორიულ-კულტურული პირობების გავლენით.

2. აჭარაში არსებული თქმულებები ასახავს რელიგიური სინთეზის ელემენტებს, რაც გამოწვეულია ქრისტიანობისა და ისლამის თანაარსებობით, მაშინ როდესაც სვანეთიში უფრო მეტად შენარჩუნებულია წარმართული, ტრადიციული ქრისტიანული ნარატივები.

3. ქრისტიანობასთან დაკავშირებული თქმულებები ფუნქციონირებს როგორც ისტორიული მეხსიერების შენახვის მექანიზმი და ავსებს წერილობით ისტორიულ წყაროებს.

4. თქმულებები მნიშვნელოვან როლს ასრულებს რეგიონული იდენტობის ფორმირებაში და ამყარებს ადგილობრივი მოსახლეობის კულტურულ თვითშეგნებას.

5. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ზეპირი გადმოცემები განიცდის ტრანსფორმაციას, თუმცა ინარჩუნებს ძირითად სიმბოლურ და რელიგიურ მნიშვნელობებს.

კვლევის მეთოდოლოგია

მეცნიერული ანალიზი ეფუძნება კომპარატიულ, ტექსტოლოგიურ ანალიზს, საველე კვლევასა და შედარებით მეთოდებს. სტრუქტურული და სტილისტიკური ანალიზის მიდგომა იძლევა შესაძლებლობას, გვიჩვენოს ენაში ასახული კულტურა; ასევე ინტერდისციპლინარული კვლევა დაეფუძნება როგორც ისტორიულ, ისე ფოლკლორული კვლევის მეთოდებს. ასევე გათვალისწინებული იქნება ისტორიულ-კრიტიკული მეთოდი, რომელიც გულისხმობს საარქივო მასალების კრიტიკულ ანალიზს, მათი სანდოობის შეფასებასა და ისტორიულ კონტექსტში ინტერპრეტაციას(ისტორიულ-შედარებითი მეთოდი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება სხვადასხვა პერიოდისა და კუთხის ფოლკლორულ მასალათა შედარებითი ანალიზი). საკვლევი არეალი იქნება აჭარა და სვანეთი.

ამდენად, დასახელებული მეთოდები შეესაბამება კვლევის ობიექტის კომპლექსურ ბუნებას. თქმულებები წარმოადგენს კულტუროლოგიური, ფოლკლორულ-ისტორიული მნიშვნელობის მატარებელ ერთეულებს, რომელთა გააზრებაც ინტერდისციპლინურ მიდგომას საჭიროებს.

სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმოწერა:

თარიღი: 08.04.2026